საქართველო

33724-01-2-201808171043

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/33724
17/08/2018

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსს
ბატონ **კახი კახიშვილს**

ბატონო კახი,

როგორც მოგეხსენებათ, გაერო-ს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ინიცირებით, მიმდინარეობს 2014 წელს საქართველოში ჩატარებული გლობალური გამოკითხვის - „Global Survey ICPD Beyond 2014“ განახლება/პროგრესის ანგარიშის შემუშავება.

აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედება ქვეყნის პრეზენტაციას, რომლის წარდგენაც მოხდება 2018 წლის 1-2 ოქტომბერს, ქ. ჟენევაში დაგეგმილ გაერო-ს მოსახლეობის ფონდისა და გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) რეგიონულ კონფერენციაზე, სახელწოდებით: „Enabling Choices: Population Dynamics and Sustainable Development”.

აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში ფოკუსი გაკეთდება სამ ძირითად მიმართულებაზე: 1) მოსახლეობის დინამიკა და მდგრადი განვითარება; 2) რეპროდუქციული ჯანმრთელობა; 3) სოციალური ჩართულობა, უთანასწორობა და ადამიანის უფლებები.

მიზანშეწონილია, რომ კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია ზემოთ აღნიშნული თემატიკის გათვალისწინებით დაკომპლექტდეს. რეკომენდირებულია, რომ დელეგაციის ხელმძღვანელის მიერ შესაბამის თემატურ სესიაზე გაკეთდეს მოკლე პრეზენტაცია.

შესაბამისად, გთხოვთ, განიხილოთ კონფერენციაში თქვენი უწყების იმ წარმომადგენლის/წარმომადგენლების მონაწილეობა, რომლებიც ჩართულები არიან გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის და გენდერული თანასწორობის და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია, კონფერენციის თემატიკიდან გამომდინარე, ასევე გაეგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს.

დანართი: 18 გვერდი.

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge